თბილისის
საჯარო
ხელოვნების
ფონდი

თანამედროვე ე. წ. “1990-იანი წლების“ ქართული პოეზია და მისი საწყისები

(კომპილაცია ან კონსპექტი)

დავით ჩიხლაძე

დასაწყისი

მოდერნისტული ტენდენციები მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში “ცისფერყანწელებით” და სიმბოლიზმის მიმდინარეობით იწყება. შემდეგ მალევე დადგება ავანგარდის ხანა-ფუტურიზმი, კონსტრუქტივიზმი, დადაიზმი და მემარცხენე პოეზია გამოდის სცენაზე. თბილისი იმ დროს ერთ-ერთ კულტურულ კერას წარმოადგენდა. საქართველოსთან დაკავშირებულ პოეტთა შორის ამ დროს ყველაზე მასშტაბური ფიგურა ვლადიმირ მაიაკოვსკია. მის გვერდით იყვნენ შესანიშნავი ნოვატორი პოეტები, როგორიცაა ილია ზდანევიჩი, ნიკოლოზ ჩაჩავა და სხვ., რომლთა ექსპერიმენტები მაინც უფრო ვიწრო წრეს ესმოდა. ყველა ესენი მემარცხენე პოეზიას წარმოადგენდნენ, რომლებმაც საკუთარი შემოქმედებით კლასიკური ღირებულებებისა და ცნებების გადაწყობის სიმბოლისტების მიერ დასახული გზა გააგრძელეს. 1930-იანი წლებისთვის დომინანტური ხდება რეალიზმის გავლენა. ჩვენთან ამას სოციალისტური რეალიზმი დაერქვა, ამერიკაში კი - სოციალური რეალიზმი. საბოლოოდ კი, პოეტური ფორმაციის ეს სამი ეტაპი - სიმბოლიზმი, ფუტურიზმი/დადაიზმი და სახალხო რეალიზმი - მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის ძირითად პლატფორმებად წარმოჩნდა.

სოც. რეალიზმის შემდეგ ქართულ პოეზიაში ლირიკული რეალიზმის პერიოდი დგება. ასე იყო ლიტერატურაშიც და მხატვრობაშიც. იდილიური რეალიზმი, რომელიც 1950-1960-იანი წლების პოეზიაში გამოიკვეთა, წარმოადგენდა სოც. რეალიზმის ერთგვარ გაგრძელებას, მისგან ითვისებდა მონუმენტურობის თვისებებს და, საბოლოოდ, მარტივ ფორმებამდე დაჰყავდა ის.

1970-იან წლებიდან ლირიკულ რეალიზმს კონფესიონალიზმი მოჰყვა, თავისუფალი ლექსის ახალი ტრადიცია, საკუთარ, პირადულ განცდებზე ორიენტირებული განწყობებით, რაც საუკუნის დასაწყისის სიმბოლისტურ ხედვებთანაც იყო დაკავშირებული. მეორეს მხრივ, ვერლიბრი ლირიკული რეალიზმითაც საზრდოობდა, მაგრამ უფრო მეტად სიმბოლისტების გამოცდილებას გაიაზრებდა და მის სათქმელს ამარტივებდა. პირადულ განცდებზე აგებული მსოფლაღქმა მოგვიანებით პოსტმოდერნისტული პოეტური ესთეტიკის ნაწილიც გახდება, რაც დღესაც ერთ-ერთი მთავარ ხაზს წარმოადგენს თანამედროვე ქართულ პოეზიაში.

გაივლის დაახლოებით კიდევ დეკადა და ნეოავანგარდისტული ლიტერატურის პერიოდი დადგება, რაც, პოსტმოდერნისტული ეპოქის საწყის ეტაპსაც ემთხვევა. ფორმის მხრივ ლექსი მთლიანად თავისუფლდება და პოეტიკის შინაარსობლივი მხარე მაქსიმალურად რეალისტური ხდება. ტექსტი თითქოს ჩვეულებრივ დღიურად გადაქცეულა. სათქმელის ადგილს ზოგჯერ ავტორის პიროვნებასთან დაკავშირებული დოკუმენტალიზმი იკავებს. ეს ლიტერატურის დასასრულის ეპოქაცაა. თვითრეფლექსურობა ამ ეპოქის ერთი მთავარი მახასიათებელია-საკუთარ ესთეტიკაში ის იყენებს არა ალუზიას ან, თუნდაც, პლაგიატს, არამედ სერიულ, ალგორითმულ გენერირებას, ზოგჯერ სრულიად უაზრო ფორმალიზმით, ზოგჯერ კი საზრისიანი, მაგრამ მაინც ფუჭი შინაარსობლივი მცდელობებით, რადგან მის სათქმელს არასოდეს აქვს ნამდვილი, შინაგანი გადაწყვეტილების ისეთი ტონი, ნებისმიერ წინა ეპოქას რომ ახასიათებდა.

როდესაც უახლესი ქართული პოეზიის შესახებ ვსაუბრობთ, თავისთავად იხატება სურათი 1960-1980-იანი და, მოგვიანებით, 1990-ანი წლების სინამდვილის. ეს პერიოდები რაღაცით ურთიერთდაკავშირებულია, პირველ რიგში, ალბათ, ფორმის გაფართოებისკენ სწრაფვით. მაგრამ, ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი ის არის, რომ ამ პერიოდში განხორციელებული ფორმალური ექსპერიმენტები არ იყო თვითმიზნური, მხოლოდ გარეგნული ეფექტისკენ ან ეპატაჟისკენ მიმართული - არამედ ახალი სათქმელის მოძიებას, მშვენიერის ახალ და ავთენტურ რაფინირებას ესწრაფვოდა.

ურბანისტული პალიტრა, ფრაზის გამრავალფეროვნება ცხოვრებისეული რეალობის შრეებიდან, ფორმალისტური ფრივოლურობით აღფრთოვანება ბრძოლა კი არ იყო ტრადიციასთან, არამედ ამ ტრადიციის გადარჩენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და სწორი მიმართულება. რადგან ნებისმიერი ავანგარდი არა მხოლოდ ნოვაციას, არამედ დაცვასაც წარმოადგენს ტრადიციის - დაცვას პროფანისტულ “სიახლეთა“ ტენდენციებისგან.

პოეტი ლიტერატების ლია სტურუას და ბესიკ ხარანაულის სახელები აუცილებელ გასაღებს მოგვცემს თანამედროვე ქართული თავისუფალი ლექსის სამყაროში შესასვლელად. მათ გვერდით უნდა დავასახელოთ მამუკა წიკლაური, ჯარჯი ფხოველი, ბორენა ჯაჭვლიანი, დალილა ბედიანიძე, ბაღათერ არაბული, თამაზ ბაძაღუა, რომელთა გარეშეც დღევანდელი თანამედროვე ქართული პოეზია არ იარსებებდა.

მაგრამ, 1970-იანი წლების პოეზიისთვის უცხო იყო ისეთი ენობრივი ექსპერიმენტები, რაც მოგვიანებით შემოიტანეს ნინო დარბაისელმა და, შემდეგ, დათო ბარბაქაძემ და რაც სწორედ ვერლიბრისა და სტრუქტურალიზმის საინტერესო გადაკვეთაზე მდებარეობს.

დღესაც აქტუალურია აღვნიშნოთ, რომ ყველა ეს ზემოთჩამოთვლილი ტრადიციები და ტენდენციები არ მიეკუთვნება ე. წ. ალტერნატიული ლიტერატურის სფეროს, რადგან ეს ახალი შემოტანილი ტერმინია და აღნიშნავს ე.წ. ოფიციალურის მიღმა დარჩენილ ლიტერატურას, სადაც თავმოყრილი შეიძლება იყოს, როგორც საშუალო ნოვაცია, ისე პალპის ლიტერატურაც. მაგრამ არსებობს კატეგორიები ხელოვნებაში, კერძოდ, ლიტერატურაში, რომლებიც აქამდე წოდებული იყო ანდერგრაუნდად, ან ავანგარდად. ასეთი ლიტერატურა, ძველი ფორმულირებით, იმდენად ჩაკეტილია ენობრივად, იმდენად დიდია მასში ე.წ. „ხელოვნება ხელოვნებისთვის“ ხარისხი, რომ უბრალოდ უტოპია იქნებოდა მისი მალევე გაოფიციალურების მოლოდინი. სწორედ ავანგარდის ლიტერატურას, რომელსაც საერთოდ არ გააჩნია ფრივოლური ინტენციები, ალტერნატიული ლიტერატურის ტერმინის გამოჩენამ შეიძლება დიდი დაბრკოლებები შეუქმნას რეპრეზენტირების ისედაც ვიწრო შესაძლებლობებში, რადგანაც მის ადგილს იკავებს და არ კი წარმოადგენს მას სინამდვილეში. მეორეს მხრივ, ის ასეთივე სიმულაციის საშიშროებას ქმნის ოფიციალური, ე.წ. დაკანონებული ღირებულებების მიმართ. ამიტომ, მისი პოლიტიკური ვექტორი შეიძლება დახასიათდეს, როგორც ლიბერალური; არა რელატივისტური პოსტმოდერნისტული გაგებით (რაც უარყოფის და ნიველირების პოლიტიკურ სემანტიკას ვერასოდეს შეიძენს), არამედ, სწორედ, გამოკვეთილი იდეოლოგიური პლატფორმით.

ოსტატი და შეგირდი

როგორც ოფიციალურ ხელოვნებას, ასევე ავანგარდს გააჩნია აუცილებელი იერარქიულობა. ასეთი იერარქიულობის მოხსნის მცდელობა სწორედ ალტერნატიული ლიტერატურის რეალობაში არის დასაშვები, სადაც გამოცდილი და გამოუცდელი მწერალი ერთ რანგში, ერთ კონტექსტში ექცევა. ამ მახასიათებლით ალტერნატიული ლიტერატურა ლიბერალიზმის, ხელოვნებისთვის უცხო პოლიტიკური აგენტის მატარებელი ხდება. ასეთი პირობები კი თავისთავად წარმოქმნის ნიჰილიზმს, ოსტატისა და შეგირდის სასიცოცხლო, უკიდურესად აუცილებელი ინსტიტუტის მოშლას, მწერალთა დაწერილი თუ დაუწერელი ღირებულებების დევალვაციას, ბოლოს კი, ისევ ახალგაზრდა ავტორთა შემოქმედებაში მასობრივად წარმოქმნის პალპის, მდარე გემოვნების ლიტერატურას ან პოლიტიკურად აგრესიულ (აღარაფერს ვამბობთ მხოლოდღა ანგაჟირებაზე) ზედაპირულ შტუდირებებს.

ასევე, დღევანდელ კონტექსტში ალტერნატიული ლიტერატურის პოლიტიკა აფერხებს პოსტმოდერნისტული რელატივიზმის ესთეტიკის კვლევას და მის ნაცვლად ე.წ. პლურალისტურ-დემოკრატიულ სპექტრს გვთავაზობს, სადაც ძირითადი შინაარსობლივი პრობლემატიკა ისევ ფემინიზმისა და ანარქიზმის სიმულაციებისგან შედგება. ამგვარად მკვიდრდება ღიაობის და დემოკრატიის ტრაფარეტული იდეალები, რაც არა იმდენად ადამიანის ანდა შემოქმედების თავისუფლების, - არამედ თავისუფლების, როგორც საპროგრამო თვითმიზნის პლებეური პროპაგანდაა.

ტრადიციული/მწერლობა

ტრადიციული მწერლობის პირველი ფუნქცია არის აკადემია, კოორდინატების სისტემის შექმნა, რათა შესაძლებელი გახდეს მათზე ორიენტირება და მათი შემოქმედებითი გადალახვა, დიახ, ხშირად სწორედ დაპირისპირების გზით. მაგრამ ასეთი დაპირისპირებები, თუ ისინი შემოქმედებითად კეთილსინდისიერია, არასოდეს ისახავს მიზნად აკადემიის (ანუ კოორდინატთა სისტემის) მოშლას. არაერთი მოდერნისტული და პოსტმოდერნისტული ნოვაცია სწორედ აკადემიის ნაწილი იყო და მისი მფარველობის ქვეშ არსებობდა.

აკადემიის აბსოლუტიზმია ისტორიული დისკურსი, რასაც ის პრაქტიკული დანიშნულებაც გააჩნია, რომ ახალგაზრდა მწერალს განვლილის შესწავლისა და ორიენტაციების ჩამოყალიბების პირობებს უქმნის. მეორე აბსოლუტიზმი კი მორალის ღირებულებებს შეეხება, მოქალაქეობრივი (და არა მარტო ეროვნული) აქტუალობისა და თვითშეგნების დადგენას. მწერლობა ყველა დროში და ყველგან დაკავშირებული იყო სამოქალაქო, საზოგადოებრივი თუ კულტურის პრობლემების განზოგადებულ ხედვასთან და ღირებულებების ჩამოყალიბების პროცესებთან. ამ ფაქტორის მოშლა იგივეა, რაც თვითონ მწერლობის მოშლა, რადგან ესთეტიკური ვერ იარსებებს ეთიკურის გარეშე. ნაწარმოებს მკითხველთან კომუნიკაცია სჭირდება და მსგავსად ყოველდღიური კომუნკაციისა, ეთიკურობა აქაც განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

როდესაც აკადემიაზეა საუბარი, დაზუსტებისთვის დავძენთ, რომ ოფიციალური არ ნიშნავს სახელისუფლებოს. ის, უბრალოდ, აკადემიას ნიშნავს. სახელისუფლებო და პოლიტიკური კი შეიძლება აკადემიის მეორე მხარესაც არსებობდეს. და კიდევ ერთი დაზუსტება: ოფიციალური ხშირად შეიძლება უფრო მხარდამჭერი აღმოჩნდეს რადიკალური ნოვაციის, ვიდრე ლიბერალური.

ტრადიციულობა თვითონ მწერლობის ფუნქციაა. ის არ არის მაინცდამაინც დაკავშირებული ისტორიულობის სქემატურ, ქრონოლოგიურ აღწერასთან. მწერლობის ისტორია ტრადიციათა გადალახვის, გადაჭარბების (და არა ნაკლულობის) ისტორიაა. თუ აკადემიაში ეს მექანიზმი შენელებულია, მისი კრიტიკა, როგორც წესი, შეიძლება განხორციელდეს უნივერსიტეტის (რაც ნაკლებად სავარაუდოა იქ არსებული სქოლასტიკის კულტის გამო) და, უფრო კი, ავანგარდის ანდერგრაუნდის მხრიდან, რადგან ეს სამივე კომპონენტი-აკადემია, უნივერსიტეტის ლაბორატორია და ავანგარდი ერთი დისკურსის საზღვრებშია მოქცეული. მათი ღირებულებითი თეზისები იერარქიულობას ეყრდნობა, განსხვავებით ალტერნატიული პრესის-თუ ინტერნეტ ალტერნატიული პრესის-ინდიფერენტულობის და

ლოიალურობის ღირებულებებისგან (რასაც ის ყოველთვის არალოიალური ძალით ამკვიდრებს და იცავს).

ენობრივი/ლიტერატურისმიღმიერი პრაქტიკები

სტრუქტურალიზმი პოეზიაში, რომლის პრეცედენტიც საქართველოში წინ უსწრებდა პოსტმოდერნიზმის ხანას, გვევლინება ენობრივი პოეზიის უპირობო საფუძვლად. მართალია, აქ სახელების ისეთ სიმრავლესთან არა გვაქვს საქმე, როგორც ვერლიბრის შემთხვევაში, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს მიმართულება ჩვენში, ვერლიბრთან შედარებით, არცთუ ისე დიდი ხნის ისტორიის მქონეა. პირველი სერიოზული განაცხადი ეკუთვნის პოეტს და ლიტერატურათმცოდნეს ნინო დარბაისელს; ეს პუბლიკაცია შედგებოდა თვითონ ლექსისგან, მისი პწკარედისგან და მასზე ავტორისეულივე ვრცელი ლექსთმცოდნეობითი კომენტარისგან, და წარმოდგენილი იყო, როგორც ერთიანი პოეტიკური სხეული. აღსანიშნავია, რომ ეს პირველი მოცულობითი სტრუქტურალისტური პრეზენტაცია სწორედ აკადემიური გაზეთის „ლიტერატურული საქართველოს“ ფარგლებში მოხდა საბჭოთა პერიოდში, 1980-იანი წლების შუა პერიოდში.

ამ ტრადიციას შემდეგ მეთოდურად და არაერთი უნიკალური კუთხით პოეტი და ფილოსოფოსი დათო ბარბაქაძე აგრძელებს.

მესამე პოეტი, ამ ტრადიციასთან დაკავშირებული და ასევე ვერლიბრზე დაფუძნებული პოეტიკით, უშანგი გაბიტაშვილია. მან მხოლოდ ერთი წიგნის გამოცემა მოასწრო და ისიც საკმაოდ დაგვიანებით. უშანგი გაბიტაშვილის ენობრიობა უფრო აბსტრაქციონიზმს იკვლევს; მისი პოეზიის სახით ქართულმა ლიტერატურამ შეიძინა აბსტრაქციონისტული ვერლიბრი. მანამდე ჩვენში აბსტრაქციონისტული ლექსი წარმოდგენილი იყო, როგორც მუსიკალური ლექსი, ბგერის პრიმატზე აგებული ნაწარმოები, რაც ხშირი იყო გალაკტიონ ტაბიძესთან. 1980-იანი წლების მეორე ნახევრიდან შესამჩნევი გახდა პოსტ-სტრუქტურალისტური ტენდენციებიც. ასეთ გამოვლინებებს შეგვიძლია კრებითად ლიტერატურისმიღმიერი პრაქტიკები ვუწოდოთ, რომელთა რეპრეზენტაცია საგამოფენო დარბაზებში უფრო ხდებოდა, ინსტალაციის ან პერფორმანსის სახით.

მეორეს მხრივ, გაჩნდა ნიშნები, პირობითად, ზეპირმეტყველებითი პოეზიის, ან ზეპირი სუბკულტურული პოეზიის სიმულაციის. აქ საინტერესო მიმართულება განავითარა “რეაქტიულმა კლუბმა“-ირაკლი ჩარკვიანმა და კოტე ყუბანეიშვილმა საკუთარ საჯარო რეპრეზენტაციებზე. მათი პირველი ასეთი რეპრეზენტაცია ჩვენს მიერ იქნა ორგანიზებული 1992 წელს საჯარო ბიბლიოთეკაში. შემდეგ, ირაკლი ჩარკვიანმა და კოტე ყუბანეიშვილმა ცალ-ცალკე განავითარეს თანამედროვე აშუღური ზეპირსიტყვიერების სტილი-პირველმა მუსიკაში, ხოლო მეორემ იუმორისტული და სკაბრეზული კუპლეტების სახით. ირაკლი ჩარკვიანის პოეზიის აშუღური მიმართულების უტყუარობას ადასტურებს როგორც ადრე არსებული თბილისური ქალაქური სუბკულტურის პოეზიის ტრადიცია (საიათნოვა, იეთიმ გურჯი, გივიშვილი, სკანდარნოვა, ჰაზირა), ისე დღესაც, თანამედროვე პოეტების ერეკლე დეისაძის და ზურა ჯიშკარიანის შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები პოეტური და მუსიკალური მოღვაწეობის გადაკვეთაზე.

აქვე თავსდება სამხატვრო პრაქტიკიდან წარმოდგენილი არტისტების-კარლო კაჭარავას, მამუკა ცეცხლაძის, მაია ცეცხლაძის და კოკა რამიშვილის ლექსების უნიკალური პუბლიკაცია “სამიზდატის“ ჟურნალ „იახსარში“ 1989 წელს. ეს იყო უდაოდ საინტერესო ნიმუშები, თვისობრივად უჩვეულო და პირველი პუბლიკაციისთვის მოულოდნელად დახვეწილი (მაგ., კოკა რამიშვილის კონცეპტუალიზმი, კარლო კაჭარავას პესიმისტური სოციალისტური რომანტიკა, რაც კარგად წარმოაჩენდა არტე პოვერას იდეებით და ეგნატე ნინოშვილის სტილით გატაცებას, მაია ცეცხლაძის უხეში ექსპრესიონიზმი-აშკარა იყო წმინდა სამხატვრო ტენდენციების ზემოქმედება). თანამედროვე პოეზიის ამავე პროგრესულ კატეგორიაშია შეიძლება მოთავსდეს უშანგი ხუმარაშვილის დღიურების ფრაგმენტები, ერთგვარი დოკუმენტალისტური ჰაიკუ, რომელსაც მხატვარი იმავე პერიოდში წერდა, მაგრამ მხოლოდ მოგვიანებით გახდა ჩვენთვის ცნობილი.

სემიოტიკური ლიბერალიზაციის თვალსაზრისით, ყველაზე რადიკალურად კარლო კაჭარავას პოეტური შემოქმედება უნდა დასახელდეს, როდესაც იგი არც კი უწოდებდა საკუთარ მოღვაწეობას პოეზიას. ამდენად, მისთვის, ცხადია, უცხოც იქნებოდა ლირიკულ-რომანტიკული სუბიექტივიზმებისგან განთავისუფლება, რაც, ჩვეულებრივ, პოეტის სტილისტური დადგინების აუცილებელი ატრიბუტია. მისი ტექსტები გაფანტული იყო მისსავე ფაბულარულ ნახატებში, კრიტიკულ რემარკებში და ესსეებში, საგამოფენო პავილიონებში, გამოუქვეყნებელ ლექსებში და დღიურებში. კარლო კაჭარავას ლექსები მისი ფაბულარული სურათების მოკლე შინაარსს ჰგავს, ან კინოსურათების სინოპსისს. ცხადია, ვერ ვიტყვით, რომ ეს ლექსები ვერლიბრს მიეკუთვნება, ან ლექსებს პროზაში, მაქს ჟაკობის ტიპის. აქ უფრო დიდი წილია მოთხრობისეული სიუჟეტისა, არაკანონიკური ჰაიკუს ფორმით გადმოცემული. სრულიად არაპოეტური თხრობა, სადაც მეტაფორაც და ენაც მოთხრობის სტანდარტებისგან შედგება, გარდა რიტმისა, რაც გადამწყვეტი დეტალია მისი ტექსტების პოეზიად მოაზრებისთვის.

ლიტერატურული “სამიზდატის“ პირველი ჟურნალი „იახსარი“ იყო, რომელიც 1989 წელს გამოვიდა და მის შექმნაში მონაწილეობა მიიღეს პოეტებმა გელა კიკოლაშვილმა, ომარ თურმანაულმა, ლია ბედოშვილმა, დათო ბარბაქაძემ, ანდრო ბუაჩიძემ და სხვ. ეს ჟურნალი პოეტ ბადრი გუგუშვილისა და წინამდებარე წერილის ავტორის თანარედაქტორობით გამოიცემოდა.

შემდგომი ისტორია, ფაქტიურად, „დათო ბარბაქაძის ჟურნალმა“ შექმნა, რომელიც ჯერ მხოლოდ ზეპირი, სააუდიტორიო ფორმით არსებობდა, მოგვიანებით კი ვიდეო-ჟურნალის (არქივის) ფორმაც მიიღო. „დათო ბარბაქაძის ჟურნალმა“ შეძლო წლების განმავლობაში ყოფილიყო მრავალი ახალი ტენდენციისა თუ ახალგაზრდა მწერლის ხელისშემწყობი და წარმომჩენი. ჟურნალის შეხვედრები უნივერსიტეტის პირველ კორპუსში ეწყობოდა და ფართე პუბლიკას იზიდავდა. მისი ინტერესები მოიცავდა უახლეს სემიოტიკურ თეორიებს, ინტერტექსტის, დიალოგიზმის, ჰიპერტექსტის დისკურსების ვერსიებს. დათო ბარბაქაძემ მოგვიანებით გამოსცა სხვა ლიტერატურული პერიოდიკაც. აღსანიშნავია, პირველ რიგში, ჟურნალი „პოლილოგი“ და გაზეთი „+ს- ლიტერატურა“ (ჟურნალისტ მაია გოგოლაძესთან ერთად).

დათო ბარბაქაძე წლების განმავლობაში იკვლევს საკუთარ სტილს ტიპიური დეკონსტრუქტივისტული მეთოდებით. თუ კარლო კაჭარავას არასოდეს განუცხადებია ხმამაღლა საკუთარი პოეტობის შესახებ და, როგორც ვთქვით, შესაძლოა ეს თვითონაც არ სცოდნოდა, დათო ბარბაქაძე სრული საპროგრამო მოტივირებით იწყებს და განაგრძობს საკუთარი პოეზიის სემიოტიკურ კვლევას, ლირიკის და ლოგიკის, რომანტიციზმის და ალგორითმის ურთიერთგადაკვეთის შინაარსების და ფორმების მოძიებით. მისი ლირიკულობა გრამატიკის წიაღიდან მოდის, გენერირებადია, ისევე როგორც მისი რამდენიმე ასეთივე ფორმალური ექსპერიმენტი კომბინატორიკასა და გენერატიულობას შორის.

სწორედ ამ ნიშნებით დათო ბარბაქაძის პოეზიის სამყარო მთლიანად ენობრივია, თვით ყველაზე ლირიკული მიძღვნები. ასეთი მიძღვნების დროს ხედვა იმდენადვე უჩვეულოდ ინტრავერტულია, რამდენადაც ბუნებრივადაა გარეთ მიმართული, ადრესატისაკენ მიმართული. შეიძლება ზოგჯერ ინტრავერტულობის წილი მნიშვნელოვნადაც იზრდება და შებრუნდება არა დანახულისკენ, არამედ დამნახველისკენ, თვითონ ხედვისკენ, მისი გამომხატავი ენისკენ. ბარბაქაძის რომანტიციზმი საკუთარ თავში პარადოქსულად აერთიანებს ლირიკულ ხასიათს, გრამატიკულ დეკონსტრუქტივიზმს და ენობრივ აბსტრაქციას. ბოლო ექსპერიმენტებში დათო ბარბაქაძემ სცადა პოლიტიკური და ფილოსოფიური მეტყველების მთლიანი ჩანაცვლება პოეზიის ადგილზე, ისევე როგორც სინტაქსის კომბინატორიკის ექსპერიმენტები ჰქონდა ადრე, როდესაც ფრაზის ვერსიები მთლიანად იკავებდა ვერსიფიკაციის და ლექსის სხეულს.

“სამიზდატის“ ხელშემწყობ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს მისი მხარდამჭერი ორგანიზებული პრესის გაჩენა 1990-იანების პირველ ნახევარში, გაზეთების „რუბიკონის“ (რედაქტორი: პოეტი იოსებ მაჭარაშვილი) და „მესამე გზის“ (რედაქტორი: პოეტი რამინ საჯაია) სახით, სადაც ფართე ლიტერატურული დისკურსისა და გამოკვლევის არაერთ წარმატებულ მცდელობას ვხვდებით. ეს გაზეთები გამოიცემოდა “ლიტერატორთა რესპუბლიკური ცენტრის“ მიერ, რომელსაც იოსებ მაჭარაშვილთან ერთად ჩვენც ვხელმძღვანელობდით 1992-1995 წლებში. არაერთი ახალგაზრდა, საინტერესო ავტორი და მთარგმნელი სწორედ ამ ცენტრის საქმიანობის პირობებში წარმოჩნდა. ეწყობოდა თემატური შეხვედრები, გამოდიოდა თემატური გამოცემები, ილია ზდანევიჩის პირველი საიუბილეო საგაზეთო ნომერიც აქ გამოიცა.

პოეტიკის პოლიტიკა-წიგნები/ტონალობა/განწყობა

წიგნების გამოცემის პრაქტიკა ამ პერიოდში უკავშირდება „ანომალიური პოეზიის“ ჯგუფს (პოეტები შოთა იათაშვილი, გიორგი ბუნდოვანი, ზურაბ რთველიაშვილი). მათ გამოსცეს რამდენიმე წიგნი-„სიკვდილის ფრთები“, „რეზიდენტი“, „ქრონოფაგები“ და „ანომალიური პოეზიის კრებული“. რადგან ამ ჯგუფს საპროგრამო ხასიათი ჰქონდა, მათ მანიფესტიც გამოაქვეყნეს. პირველი გამოხმაურება მათს პროგრამაზე და პოეზიაზე ეკუთვნის შესანიშნავ პოეტ დავით მჭედლურს. სტატიაში, რომელიც 1993 წელს დაიბეჭდა გაზეთ „7 დღეში“, ის განიხილავს „ანომალიური ჯგუფის“ პროგრამას, როგორც მათი პოეტიკის საერთო პლატფორმას, მაგრამ შემდგომ მისი კრიტიკა დანაწევრებული და განკერძოებული ხდება, სადაც ინდივიდუალურად აფასებს ყოველ ცალკეულ ავტორს. დავით მჭედლური, თუმცა კი თითქოს მიესალმება მოცემულ ავტორთა ვულგარულ თემებსა და ინტონაციებს, როგორც რეალიზმის ადექვატურ ფორმებს იმ მოცემული დროისათვის, იმავე დროს ამ ავტორთაგან ყველაზე ზომიერად (და, ლოგიკურად, მათი პროგრამისთვის შეუსაბამოდ) შოთა იათაშვილს მიიჩნევს და მის ზომიერებას ლიტერატურულობის უპირობო კრიტერიუმად წარმოადგენს (როგორც აკადემიურობის ერთ-ერთ პრიორიტეტს). მართლაც, პოსტმოდერნისტული ესთეტიკით, ყველაზე ლიტერატურული და, შესაბამისად, ნაკლებად მოსახელთებელი ამ ენობრივ ჯგუფში შოთა იათაშვილია. იმავე კატეგორიაში შეიძლება მოთავსდნენ ბადრი გუგუშვილი, თამაზ ბაძაღუა, ელა გოჩიაშვილი და ნინო დარბაისელი. ცხადია, ყველა ეს პოეტები შესანიშნავი ვერლიბრისტები არიან, მათი სტილი, მათი არსებობის წესი საკმარისზე მეტად ლიტერატურულია. და სწორედ ეს საკმარისზე მეტი ლიტერატურულობაა, რაც მათ შემოქმედებას ენობრივი პოეზიის სტანდარტისაკენ გადახრის. თუმცა, ბადრი გუგუშვილი და ელა გოჩიაშვილი მაინც უფრო ტრადიციის მხარეს დარჩნენ, მათთან “სამშობლო” ხშირად მართლაც საზოგადოდ მიღებულ სემანტიკას ემთხვევა. ბადრი გუგუშვილს, ისევე, როგორც მანამდე, და უფრო მასშტაბურადაც დალილა ბედიანიძეს, ჰქონდა წარმატებული მცდელობები პუბლიციზმის ტოტალური შემოტანისა ლექსის, პოემის სხეულში. ელა გოჩიაშვილი ძალზე საინტერესო ლირიკოსია საკუთარი ორიგინალური იმაჟინისტური სახეობრიობით, კლასიცისტური რევერანსით, ნატიფი იდეალიზმით. მისი ენობრიობა ოდესღაც არსებული რუსული ტრადიციის შესანიშნავი პასტიშია.

ეს “ლიტერატურულობა” არ არის წმინდა და მარტივი, როგორც ეს ერთი ან ორი შეხედვიდან ჩანს. იმიტომაც არის მათი ნამდვილი ესთეტიკური კრედოს მოხელთება ძნელი, რომ აქ თვითონ ლიტერატურულობაა, ვერლიბრის ვერსიფიკაციაა მათი პოსტმოდერნისტული აპელირების თემა. ყველაზე ძლიერად შ. იათაშვილთან და ნ. დარბაისელთან არის გამჟღავნებული სიმულაკრას (და არა მხოლოდ სიმულაციის) თეორია, საპირისპიროდ ბარბაქაძის ინდექსების შემცვლელი პოეტიკისა ლიტერატურასა და სხვა ჰუმანიტარულ დარგებს შორის. ეს მომენტი ყველაზე რადიკალურად ნ. დარბაისელის ზემოხსენებულ ცნობილ თვითკომენტირებულ ლექსში ან მის სხვა სტრუქტურალისტური მეთოდებით შედგენილ პოეტიკებში გამომჟღავნდა.

ზურაბ რთველიაშვილის პოეზიაში ასევე მაღალია აბსტრაქცია. როგორც ეს ადრე აღგვინიშნავს, ბუნტის მითოლოგია, იგივე ამბოხების ეს აბსტრაქცია რთველიაშვილის პოეზიის ღერძია. ყველა ასეთი ექსპერიმენტი შეიძლება სოციალურ და პოლიტიკურ კრიტიკად განვიხილოთ, და არა პირად ან სუბიექტივისტურ საჩივრად. ამ მხრივ, ზურაბ რთველიაშვილი ერთადერთი პოეტია ხსენებულ ჯგუფში, ვინც ენობრივ პოეტად რჩება მაშინაც კი, როდესაც პოეზიისთვის არაკუთვნილ სივრცეს იკვლევს: შანტაჟის და პოლიტიკის. მით უმეტეს, მეტად რთულია, თავისებურად ორმაგ ამოცანას ჰგავს, როდესაც ენობრივი პოეზია ერთდროულად ახერხებს თავისთავში ამყოფოს ლირიკაც და რადიკალური კრიტიკაც.

გიორგი ბუნდოვანის ადრეული პოეტიკაც შესანიშნავი პასტიში იყო ბოდლერის, საშინელებათა დეკადანსის, პათეტიკური სუბიექტივისტური ნეგაციის, მაგრამ მისი ბოლოდროინდელი ლექსები ერთგვარ ხაზგასმულ

მონოტონურობასთან ერთად უჩვეულო პოეტიკურ პროგრესირებაზეც მიუთითებენ. აქ არის პოეტური სათქმელის სოციალურ სათქმელთან გაიგივება და ნარცისიზმის ტრაგიკულობით აღბეჭდილი ელეგიურობა, დაუსაბუთებელი პრიმიტივიზმი, ქუჩის, სტატისტიკისა და საგაზეთო მეტყველების არევა, სადაც ეს ყველაფერი შესანიშნავი არტისტული ტრანსფორმაცია და მიძღვნაა ძვირფასი ედგარ ალან პოსეული პირქუში ტრადიციისადმი.

მოდერნიზმი/პასტორალური პოეზია

როგორც დასაწყისშივე აღვნიშნეთ, მოდერნიზმი ქართულ პოეზიაში „ცისფერყანწელების“ სიმბოლიზმიდან იღებს სათავეს. მაგრამ, მისი არეალი არა მხოლოდ ჩვენთვის უკვე შორეულ წარსულზე, არამედ, შემდგომი, მოგვიანებითი პერიოდის სინამდვილეზეც ვრცელდება, იოსებ ნონეშვილის, ირაკლი აბაშიძის, გრიგოლ აბაშიძის, მუხრან მაჭავარიანის, მურმან ლებანიძის, შოთა ნიშნიანიძის, ვახტანგ ჯავახაძის და ხუტა ბერულავას ჩათვლით, ანუ იმ პოეტების, რომლებიც საბჭოთა პერიოდის ქართული პოეზიის კლასიკას წარმოადგენენ. მოდერნისტების უმეტესობას ახასიათებს მაღალი მგრძნობელობა კონვენციური ფორმების და მათი ასეთივე კონვენციური მოდიფიცირებების მიმართ, ქალაქური მგრძნობელობა და მისი რაფინირებული ატრიბუტიკა. მეორეს მხრივ, მოდერნისტული ხელწერის პოეტებისთვის დამახასიათებელია ძლიერი პასტორალური აღწერები და ხედვები, და ესეც, სავარაუდოა, სწორედ მათი აღმატებული ყურადღების შედეგია ფორმისა და ფერის მიმართ.

თანამედროვე ქალაქის ახალი, ორიგინალური მხატვრები არიან დავით მჭედლური, ლაშა ნადარეიშვილი, ომარ თურმანაული, ანდრო ბუაჩიძე, მათს პოეზიაში ჩანს ცოცხალი სურათები ქალაქის თუ მისი ისტორიის გაელვებების, სახლებისა და პარკების ჩრდილები, ტონალობები (განსაკუთრებით გიგი სულაკაურთან, გელა კიკოლაშვილთან და ბადრი გუგუშვილთან). ქალაქი, როგორც ბუნების სევდიანი ანტითეზა წინ არის წამოწეული ელგუჯა მარღიასთან, მაყვალა გონაშვილთან, დალილა ბედიანიძესთან. ქალაქის ახალი სიმბოლური სახეობრიობის შესანიშნავი ფორმებია გივი ალხაზიშვილთან, ელა გოჩიაშვილთან, ლალი თოთაძესთან. ზაზა თვარაძესთან უფრო მუქი ფერებია, სადაც უახლესი ისტორიული პერიოდია ასახული, მაგრამ არა „ანომალიურად“ და ნიჰილისტურად, პირიქით, მწვავე სევდით აღბეჭდილი. დიახ, ყველა ამ ზემოთხსენებულ პოეტს ახასიათებს პასტორალური თემატიკა, რაც ისევ მათი ქალაქური თემატიკის არამანერულობასაც უსვამს ხაზს. როგორც ერთ-ერთი განუყოფელი ურბანისტული მოტივი, მათთან იშვიათი არ არის სოციალური კრიტიკაც.

თანამედროვე ქართული პოეზიის ტრადიცია, ცხადია, დღესაც გრძელდება და უახლოესი მომავალი გვიჩვენებს მის ახალ პრობლემატიკასაც და აუცილებელ მიღწევებსაც. მანამდე კი, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ქართული მოდერნიზმი და ავანგარდიზმიც ქართულ პოეზიაში უკვე კარგად ჩამოყალიბებული აკადემიური ხაზია, რომელიც აწონასწორებს და ანეიტრალებს ყოველგვარი ვულგარული და პროვინციალურ-ნაციონალისტური ნაკადების შემოდინების მცდელობებს, რათა ნამდვილს, თუნდაც არარაფინირებულად და უხეშად მოტანილს, საკუთარი ადგილი არ დაეკარგოს.

2026 წ.

“... 2 ივლისს, დავით ჩიხლაძის მიერ მოწყობილ მორიგ “დადა-სემინარზე“ შედგა “რეაქტიული კლუბის“ ერთგვარად სკანდალური რეპრეზენტაცია: ეს იყო ერთი ყველაზე ხალისიანი დღესასწაული გასულ ზაფხულს...“, კარლო კაჭარავა, გაზეთი “დრონი“, 22 იანვარი, 1993 წ.

ფოტო 2. 1992 წლის 25 ივნისი, საჯარო ბიბლიოთეკა, დადა-სემინარი. ფოტოზე მარცხნიდან: ნატა ამირეჯიბი, დათო ბარბაქაძე, შალვა ფანცულაია, მეგი ბურჭულაძე, დავით ჩიხლაძე, სანდრო კობაური, ჟენია ქიქოძე, გია ჭილაძე, არჩილ დარჩია, ირაკლი ჩარკვიანი, კარლო კაჭარავა, კოტე ყუბანეიშვილი, მანანა ჯავაშვილი. სხედან: ნიკო ლომაშვილი, ნიკო ცეცხლაძე, გოგა დადუნაშვილი. ფოტო: გურამ წიბახაშვილის

ბადრი გუგუშვილი და დავით ჩიხლაძე გასტრონომიული პოეზიის აქციაზე 1993

დავით ჩიხლაძე და დათო ბარბაქაძე, 1995 წ.

ზურაბ რთველიაშვილი და გიორგი ბუნდოვანი, 1996 წ.

შოთა იათაშვილი დადა-მეფე პრეზიდენტის არჩევნებზე